**გიორგი გოგოჭური, დავით მინდორაშვილი,**
**ბიძინა მურვანიძე**

# არქეოლოგიური გათხრები ილმაზლოს მრავალფენიან ნამოსახლარზე

ნამოსახლარი, რომლის შესახებაც გვექნება საუბარი, მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ილმაზლოსთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ორ შემაღლებულ ბორცვზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. $I_{1-2}$). აქ რამდენიმე სეზონის განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ათეულობით ჰექტარზე გაშლილი ნამოსახლარი მოიცავს სხვადასხვა პერიოდის კულტურულ ფენებს ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული IX-X სს-ის ჩათვლით.[1]

2024 წელს ნამოსახლარზე ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ახალი მასალები, რომლებიც მნიშვნელოვანი წყაროა ქვემო ქართლის ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად.

ნამოსახლარის ჩრდილოეთი ბორცვის თხემის გათხრებისას გამოვლინდა ადრეული შუა საუკუნეების მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც რამდენიმე სამშენებლო დონითაა წარმოდგენილი. სულ ზედა I დონეზე, რომელიც საკმაოდ დარღვეული იყო, აღმოჩნდა არაბული მონეტა. იგი ცუდადაა შემორჩენილი და ვერ ისაზღვრება ფულის მომჭრელი ხალიფას სახელი, მოჭრის ადგილი თუ თარიღი. თუმცა, სრულიად აშკარაა, რომ იგი VIII-IX სს-ის ქუფური ფელსია[2] (ტაბ. $XI_{23ა}$). ამავე დონეზეა გამოვლენილი: IX ს-ის მოჭიქული კერამიკის ნატეხები, ფაცეტებიანი მინის ჭურჭელი, მარმარილოს ჯამი, ალიზის აგურები, ნალესობის ანაბეჭდები, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, ბაზალტის ხელსაფქვავები და სახურავები, რიყის ქვის საბეგველები, სახეხ-სანაყები და სხვ.

აღნიშნული დონის ქვეშ გამოვლინდა II დონე, წარმოდგენილი საკმაოდ დაზიანებული ნაგებობის ნაშთებითა და სამეურნეო ორმოთი (ტაბ. $IV_{1,3}$). ნაგებობაში გამართული იყო ქვევრი, რომელსაც ბაზალტის სარქველი ეხურა. იატაკზე აღმოჩნდა: ქოთნები, ჯამი, ქვის გახვრეტილი დისკო და სხვ. (ტაბ. $IV_{1,3}$, $X_1$). ნაგებობის კედლების დაფიქსირება ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, კედლები ფიცრითა და სარ-ლასტით იყო გაწყობილი და ალიზით შე-

[1] გოგოჭური, *ანტიკური ხანის მასალები*, გვ. 107-141; გოგოჭური, კალანდაძე, *მნიშვნელოვანი აღმოჩენები*, გვ. 21; გოგოჭური, ბერძენიშვილი, *ტახის/ღორის კულტი*, გვ. 10-37; მურვანიძე, გოგოჭური, მინდორაშვილი, *ქვემო ქართლში 2020 წელს ჩატარებული*, გვ. 50-65; მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, *არქეოლოგიური ძიებანი*, გვ. 203-206.
[2] მონეტის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ნუმიზმატმა მ. ქორიძემ.

ლესილი. შენობის ბანური სახურავი ხის სვეტებზე ყოფილა დაყრდნობილი. ამაზე მიუთითებდა იატაკში ჩაჭრილი ორმოები, რომლებიც სახურავის საყრდენი სვეტებისთვის იყო განკუთვნილი. ნაგებობაში ტიხრებად სარ-ლასტი გამოუყენებიათ.

ნაგებობის კუთვნილია N1 სამეურნეო ორმო, რომელშიც აღმოჩნდა: ქვევრის, ქოთნისა და მინის ჭურჭლის ნატეხები, ქვის სანაყები და სხვ. (ტაბ. $IV_2$, $VII_1$). ამავე დონეს ეკუთვნის N13 ორმო. მასში გამოვლინდა ქვევრის რამდენიმე ნატეხი და მინის ჭურჭელი (ტაბ. $VII_2$). ნაგებობა ხანძრითაა განადგურებული.

აღწერილი დონის ქვეშ გაიწმინდა III დონე. აქ გამოვლენილი ნაგებობის თიხით შელესილი კედლები და ხის სვეტებისათვის განკუთვნილი ორმოები დაზიანებულია. იატაკზე აღმოჩნდა სარ-ლასტის მცირე ზომის ფოსოები და კერის კვალი (ტაბ. $IV_2$, $V_1$). ნაგებობაში გამოვლინდა კეცის ნატეხები და ტყავის არტეფაქტი. ნაგებობა არაერთხელ გადაუკეთებიათ. იატაკში ჩაჭრილ N2 ორმოში[1] აღმოჩნდა: ქოთნები, ქილა, დერგი, ჯამი, თიხის დისკო, მინის ჭურჭელი, კრამიტი და სხვ. (ტაბ. $IV_{2,4}$). N3-8 ორმოებში გამოვლინდა: ქვევრის ნატეხები, ქოთნები, დოქები, სარდიონის ბეჭედი, სადაფისნატეხები, რკინის დანა, ბრინჯაოს საკინძი, მინის ჭურჭელი და სხვ. (ტაბ. $V_{1-2}$).

III დონის ქვეშ დაფიქსირდა IV დონე, რომელსაც ეკუთვნის ალიზის აგურებისგან (40X40X10-12 სმ.) ნაშენი ნაგებობა. იგი ზედა დონის კუთვნილი ორმოებითაა დაზიანებული (ტაბ. $III_1$, $VI_2$). ნაგებობის მიწატკეპნილი იატაკი, რომელზეც სარ-ლასტისათვის განკუთვნილი ფოსოებია შემორჩენილი, რამდენჯერმე განუახლებიათ (ტაბ. $VI_2$).[2]

ალიზის ნაგებობის გარეთ (ჩრდილოეთით) გამოვლინდა თიხის კერა. კერასთან რამდენიმე ორმო გაიწმინდა (ტაბ. $VI_2$). N14 ორმოში აღმოჩნდა: თაბაშირზე გამოყვანილი მცენარეული ორნამენტის ნატეხები, ქვევრის, ქოთნების, ბადიის, დოქების, ჯამის ნატეხები, გამოუწვავი თიხისგან დამზადებული ხუფი, ძვლის ტარი, ჭურჭლის სახურავებად გამოყენებული რიყის ქვები, ატმის კურკა და სხვ. უფრო მრავალრიცხოვანია N16 ორმოს მასალა, რომელშიც გვხვდება: ქვევრის, დერგების, სადღვებლის, ჩაფების, ქოთნის, ბადიის, ჯამის ნატეხები და სხვ.

გათხრებისას ელინისტური (და უფრო ადრეული ხანის) უძრავი კულტურული ფენები არ დაფიქსირებულა. ისინი საგრძნობლად იყო დაზიანებული ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობებით. თუმცა, სხვადასხვა სიღრმეზე ჩნდებოდა თეთრი ანგობით მოხატული ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. $XI_{21-22}$). მსგავსი კერამიკა ილმაზლოს ნამოსახ-

[1] N2 და N14 ორმოების მასალა ნახშირის სინჯის მიხდვით, V ს-ეს მიეკუთვნა. კვლევები ჩატარდა ვილნიუსის რადიოკარბონულ ლაბორატორიაში.
[2] IV დონის ქვეშ დაფიქსირდა უფრო ადრეული კულტურული ფენების ნაშთები. ძლიერი დაზიანების გამო, მათი ინტერპრეტაცია რთულია.

ლარზე ადრეც იყო გამოვლენილი.[1] ანგობით მოხატული კერამიკა მრავლადაა ცნობილი: სამადლოში, ციხიაგორაზე, უფლისციხეში, მცხეთაში, თბილისში, არაგვის ხეობისა თუ ქვემო ქართლის ძეგლებზე.[2] ელინისტური ხანის ნაწარმია ერთი წითელპრიალა ფიალა (ტაბ. $XI_{24}$). მსგავსი ფორმის ჭურჭელი ადრეც აღმოჩნდა ილმაზლოს N13 სამარხში.[3] ფიალის ანალოგები გვხვდება მცხეთის ძვ. წ. IV-III სს-ის სამარხების მასალაშიც.[4]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ თხრილში ელინისტური ხანის უძრავი კულტურული ფენები არ გამოვლენილა, ნამოსახლარზე სხვადასხვა დროს მიკვლეული მასალების მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერიტორია ანტიკურ ხანაშიც ინტენსიურად ყოფილა დასახლებული.[5]

გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ადრეული ნიმუშები ძირითადად V-VI სს-ს, გვიანდელები კი IX ს-ეს განეკუთვნება. შესაბამისად, კულტურული ფენის თარიღი ზოგადად V-IX სს-ით განისაზღვრა. ამასთან, IV-II დონეების თარიღი V-VIII სს-ის ფარგლებში ექცევა. IX ს-ით თარიღდება სულ ზედა – I დონე, რომელშიც ზოგჯერ ადრეული ხანის მასალაცაა გამორეული. თუმცა, მასში IX ს-ზე უფრო მოგვიანო პერიოდის არტეფაქტები არ აღმოჩენილა. ზედა დონე კარგად თარიღდება აქ გამოვლენილი VIII-IX სს-ის ქუფური მონეტითა და IX ს-ის მოჭიქული კერამიკის მიხედვით.

კულტურული ფენის II დონეზე შეინიშნება ნახშირისა და ნაცრის კვალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნამოსახლარი ხანძრით განადგურებულა. რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს მისი განადგურება VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს გამანადგურებელ ლაშქრობას, ძნელი სათქმელია. ასეც რომ იყოს, ჩანს, დასახლება მალევე განუახლებიათ. ილმაზლოს სხვადასხვა უბნის არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება IX ს-ის სადა და მოჭიქული კერამიკა, მაგრამ მასში არ ჩანს X და შემდგომი საუკუნეების არტეფაქტები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ IX ს-ში ან X ს-ის საწყის წლებში აქ არსებული ვრცელი სამოსახლოს დიდი ნაწილი არსებობას წყვეტს. ნასახლარის განადგურების შემდეგ, აქ გაუმართავთ მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობები. ბორცვებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრება განვითარებულ შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. თუმცა, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ადრე. განვითარებული შუა საუკუნეების შემდეგ, აქ ცხოვრების კვალი ქრება.

კულტურული ფენის სხვადასხვა დონეზე გამოვლენილი შენობები მარტივი კონსტრუქციისაა. ერთი შენობა ნაგებია ალიზის აგურებით. კედ-

---

[1] გოგოჭური, *ანტიკური ხანის მასალები*, გვ.112.
[2] გოგოჭური, *ანტიკური ხანის მასალები*, გვ. 112. ლიტ. იხ. იქვე.
[3] გოგოჭური, *ანტიკური ხანის მასალები*, გვ. 111.
[4] Апакидзе, Николайшвили (и др.), *Мцхетская экспедиция*, ტაბ. $178_{2,5}$.
[5] გოგოჭური, კალანდაძე, *მნიშვნელოვანი აღმოჩენები*, გვ. 21; გოგოჭური, *ანტიკური ხანის მასალები*, გვ. 115; მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, *არქეოლოგიური ძიებანი*, გვ. 205.

ლების გასწვრივ არსებულ სხვადასხვა დიამეტრის ორმოებში იდგმებოდა ხის სვეტები, რომლებსაც ბანური სახურავი ეყრდნობოდა. სიმტკიცისათვის სვეტებს გარშემო უწყობდნენ რიყის ქვებს. მცირერიცხოვანი ღარიანი და ბრტყელი კრამიტების ნატეხები იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი შენობა კრამიტით იყო დახურული (ტაბ. $XI_{39-41}$). ნაგებობების შიდა სივრცე სარ-ლასტით ყოფილა გატიხრული. ტიხრები თიხამიწით შეულესავთ.

ალიზით მშენებლობის ტრადიცია ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლებზე. ალიზის შენობები გამოვლენილია ძალისაში,[1] ურბნისის ნაქალაქარზე, სადაც ცალკეული შენობების გარდა, ალიზით ზღუდის კედელიც აუგიათ.[2] V-VI სს-ის ალიზით ნაშენი სასახლეა აღმოჩენილი ილმაზლოს სიახლოვეს სოფ. მეორე ქესალოსთან[3] და სხვ.

ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ქვევრები დაბალყელიანია პროფილირებული ბრტყელი ძირით (ტაბ. $X_{1-8}$). ნაწილი გლუვია (ტაბ. $X_1$). ზოგიერთს შემოუყვება სადა ან „თოკისებრი" სარტყლები (ტაბ. $X_{7,9,12}$). ერთი მათგანი შემკულია ამოღარული ვარსკვლავის გამოსახულებით, მეორე – ურთიერთგადამკვეთი ხაზებით (ტაბ. $X_{10-11}$). ქვევრები ჩაკირული არაა. არსებული მოსაზრების თანახმად, ქვევრების ჩაკირვა საქართველოში XI ს-ის 80-იან წლებში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ იწყება.[4]

დერგებს პირს ქვემოთ დაუყვება მოყავისფრო წერნაქის ზოლები. მხარი შემკულია ნაჭდევების სარტყელით. თიხა მკვრივია. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. $X_{13-15}$). ილმაზლოს დერგების დაახლოებით მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისის „დამწვარ ნაგებობაში", რომელიც V ს-ის მიწურულითა და VI ს-ის დასაწყისით თარიღდება.[5] დერგები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მცხეთაში, ბებრისციხეზე მიკვლეულ IV-VI სს-ის ჭურჭელთან.[6]

სადღვებლები ნატეხებითაა წარმოდგენილი (ტაბ. $X_{16,18}$). ერთი შედარებით სრულად შემორჩენილი ჭურჭელი გამოვლინდა ქვედა IV დონეზე არსებულ კერასთან (ტაბ. $X_{17}$). მსგავსი სადღვებლები ცნობილია ურბნისის ნაქალაქარის VI-VIII სს-ის მასალიდან.[7]

ქოთნების ნაწილი ხასიათდება მოყრილი პირით. ზოგიერთი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ხაზებითა და ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. $XXIII_{25-33}$). დაძერწილი აქვთ გახვრეტილი ყურები (ტაბ. $X_{32-33}$). მსგავსი

---

[1] ნარიმანიშვილი, *ნაქალაქარი ძალისა*, გვ. 246.
[2] ჭილაშვილი, *ურბნისი*, გვ. 106.
[3] მურვანიძე, მინდორაშვილი, გოგოჭური, ელოშვილი, *ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები*, გვ. 354.
[4] ბოხოჩაძე, *მევენახეობა-მეღვინეობა*, გვ. 143.
[5] ჭილაშვილი, *ურბნისი*, სურ. 40.
[6] ნიკოლაიშვილი (და სხვა), *ბელტისციხე*, ტაბ. $XIII_2$.
[7] სინაურიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს*, გვ. 49.

ფორმის ქოთნები ცნობილია: ნაგზაურის (დმანისი) სამონასტრო კომპლექსიდან, რომელიც V ს-ის მიწურულს თუ VI ს-ის დასაწყისში დაუარსებიათ.[1]

განსხვავებული ფორმისაა ქოთნები გაშლილი პირითა და დაბალი ყელით (ტაბ. X$_{35-44,51,52,54}$). ქოთნების სხვა ჯგუფისთვის დამახასიათებელია ბრტყელი განიერი პირი და დაბალი ყელი (ტაბ. X$_{45-50}$). მსგავსი ქოთნები ცნობილია: ურბნისიდან,[2] აგრეთვე რუსთავის ადრეული შუა საუკუნეების განათხარი მასალიდან.[3] ყურიანი ქოთნების ნაწილი მოზრდილია. შემკულია ამოღარული ხაზების კომბინაციით, ნაჭდევებით, წრეებით, კოპებით და სხვ. (ტაბ. X$_{34,56,57}$).

სამზარეულო კერამიკას განეკუთვნება ტაფისებრი ჭურჭელი (ტაბ. X$_{19\text{ბ}}$). მსგავსი ფორმის ცეცხლზე სადგამი კერამიკა ცნობილია ურბნისის ნაქალაქარის VI-VIII სს-ის არქეოლოგიური მასალიდან.[4]

ჩაფები დიდი ორყურა ჭურჭელია, გაშლილი პირითა და წიბოიანი ყელით (ტაბ. X$_{19-19\text{ა}}$). მათი ანალოგები გვხვდება: ურბნისში,[5] ზღუდერში,[6] მცხეთაში,[7] ლოჭინში,[8] რუსთავში[9] და არაერთ სხვა ძეგლზე.

ერთი შედარებით კარგად შემორჩენილი ჩაფი სტრატიგრაფიულად უფრო ადრეულ N16 ორმოში გამოვლინდა (ტაბ. X$_{19\text{ა}}$). პარალელური მასალებისა და აღმოჩენის ვითარების მიხედვით ჩაფი VI ს-ის ნაწარმი ჩანს.

ბადიები ღრმა და ფართოძირიანი ჯამებია ბრტყელი პირ-ტუჩით, რომლებსაც ხშირად კოპები ამკობს (ტაბ. X$_{21-23}$). ზოგიერთს პირს ქვემოთ სითხის გადმოსაღვრელი მოკლე მილი აქვს დაძერწილი (ტაბ. X$_{24}$). ბადიები ფართოდაა გავრცელებული ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი მიკვლეულია: ურბნისში, მცხეთაში,[10] თბილისში,[11] გლდანში,[12] რუსთავში,[13] თელავში,[14] უჯარმაში,[15] ივრის ხეობაში[16] და სხვ.

---

[1] კახიანი (და სხვა), *ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი*, გვ. 96, ტაბ. 8$_{10}$.
[2] სინაურიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს*, ტაბ. VI-VIII.
[3] პაჭიკაშვილი, *ძველი რუსთავი*, გვ. 95, N106, გვ. 98, N112.
[4] სინაურიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს*, გვ. 54, ტაბ. XIV.
[5] ჭილაშვილი, *ურბნისი*, გვ. 93, ტაბ. XXX1; სინაურიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს*, გვ. 56, ტაბ. X$_{1-3}$.
[6] ნემსაძე, *ზღუდრის არქეოლოგიური*, გვ. 56.
[7] აფაქიძე (და სხვა), დიდი მცხეთა, გვ. 45, სურ. 246, 248.
[8] აბრამიშვილი, ჭილაშვილი, *ლოჭინის ნასოფლარის*, გვ. 198.
[9] პაჭიკაშვილი, *ძველი რუსთავი*, გვ. 98.
[10] სინაურიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს*, გვ. 50, ტაბ. IV-V.
[11] გძელიშვილი, ტყეშელაშვილი, *თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები*, ტაბ. 21, სურ. 47.
[12] Артилаква (и др.), *Отчёт о полевой работе*, ტაბ. 91.
[13] პაჭიკაშვილი, *ძველი რუსთავი*, გვ. 95, სურ. 106.
[14] ჩიკოიძე, *თელავი*, გვ. 29.
[15] მამაიაშვილი, *ჭერემი*, ტაბ. 54-55.
[16] ჯორბენაძე, *ერწო-თიანეთი*, გვ. 41, სურ. 4.

ქილებს აქვს ბრტყელი პირი, ცილინდრული ყელი და მომაღლო ტანი (ტაბ. $X_{20}$). ჭურჭელი აღმოჩნდა III დონის კუთვნილ N2 ორმოში. ანალოგიური ქილა ილმაზლოზე ადრეცაა აღმოჩენილი (N166).

სუფრის ჭურჭელში მრავალრიცხოვანია მოჩალისფროდ გამომწვარი დოქები, მრგვალი ან ტუჩიანი პირით. ზოგიერთს ყელზე შემოუყვება წიბო. შემკულია კოპებით, მორგვისეული ხაზებით ან ნაჭდევი სარტყლებით (ტაბ. $XI_{1-15}$). სუფრის ჭურჭელს ეკუთვნის მოჩალისფროდ გამომწვარი ყური ცხოველის (ცხვრის?) თავის გამოსახულებით (ტაბ. $XI_{20}$).

ცალკე გამოიყოფა შავად გამომწვარი ჭურჭლის ძირის ერთი ნატეხი, რომელზეც შტამპის მეშვეობით რელიეფური „ბორბალია“ გამოსახული (ტაბ. $XI_{23}$). ჭურჭელი შემკულობით თუ თიხის სტრუქტურით განსხვავდება ადგილობრივი კერამიკული ნაწარმისგან. ჭურჭლის ძირების შემკობა „ბორბლის“ გამოსახულებით ძალზე დამახასიათებელია ჩრდილოეთ კავკასიის ადრეული შუა საუკუნეების კერამიკისთვის.[1] ამგვარი ორნამენტით შემკული შავად გამომწვარი კერამიკა აღმოჩენილია დარიალის ხეობაშიც – ჩიმისა[2] და ლარსის სამარხებში, დარიალის ციხეზე და სხვ. მათი თარიღი ძირითადად VI-VIII სს-ით ისაზღვრება.[3] აღწერილი ბორბლისგამოსახულებიანი ჭურჭელი სავარაუდოდ, ჩრდილოკავკასიური ნაწარმი უნდა იყოს და ილმაზლოს ნასახლარზე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შედეგად ჩანს მოხვედრილი.

ჯამები მცირერიცხოვანია, მოყრილი ან გაშლილი პირით, დაბალი კალთითა და ფართო ძირით (ტაბ. $XI_{24-38}$). შედარებით სრულადაა შემორჩენილი II დონის ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილი პატარა ჯამი, რომლის პირი შემკულია ნაჭდევებითა და კოპებით. ფსკერზე გამოყვანილია წრიული ჩაღრმავებები (ტაბ. $XI_{36}$).

სუფრის ჭურჭლიდან აღსანიშნავია N16 ორმოდან მომდინარე მოჩალისფროდ გამომწვარი პირგაშლილი ფართოძირიანი ჯამი, რომლის შიდაპირი წერნაქის ზოლებითაა მოხატული (ტაბ. $XI_{30}$). ზოგადად, ადრეული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლისათვის მოხატვა არ არის დამახასიათებელი. სავარაუდოდ, ჯამი გვიანანტიკური ხანის მოხატული კერამიკის ტრადიციების გვიანდელი გამოძახილი შეიძლება იყოს.

არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება თიხის გამოუწვავი ხუფები. თიხის ნედლი გუნდა ეფარებოდა სამზარეულო თუ სუფრის ჭურჭლის პირებს. არტეფაქტების ქვედა მხარეს შემორჩენილია ჭურჭლის პირების ანაბეჭდი. სახურავებად თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან დამზადებული დისკოებიც ყოფილა გამოყენებული.

---

[1] Ловпаче, *Погребальный обряд*, ტაბ. 63-4, 6. 76-7, 9, 10, 12; Ковалевская, *Кавказ*, გვ. 126.
[2] აღნიშნული პუნქტი, საიდანაც წერილობითი წყაროების მიხედვით ქართული მიწები იწყებოდა, ვახუშტი ბაგრატიონთან არაერთხელ მოხსენიებულია როგორც – ჩიმი და არა ჩმი, როგორც მას ახლა უწოდებენ. შდრ. „ქართლის ცხოვრება“, გვ. $357_{10}$, $633_{22}$, $642_{1,3,7,12}$, $643_{14,21}$, $648_{21}$.
[3] Ковалевская, *Кавказ*, გვ. 126; წითლანაძე, *ხევის არქეოლოგიური*, გვ. 67, ტაბ. XXXVI.

ღარიანი კრამიტების ორიოდე ნიმუშია გამოვლენილი. შედარებით მეტია ბრტყელი კრამიტების ნატეხები (ტაბ. $XI_{39-41}$). ერთ მათგანს ეტყობა წერნაქით შეღებვის კვალი (ტაბ. $XI_{39}$). კრამიტებზე შემორჩენილია ცხვრისა თუ თხის ჩლიქების ანაბეჭდები. ზოგიერთს ხელოსნის თითების ანაბეჭდი ეტყობა. ილმაზლოს კრამიტები იმეორებს ადრეული შუა საუკუნეების სხვადასხვა ძეგლზე (ურბნისი, მცხეთა, რუსთავი, უჯარმა) აღმოჩენილი კრამიტების ფორმას.

მოჭიქული კერამიკიდან ორი ჯამია, სამი – სამარილე. ჯამის შიშველი კეცი სოსნისფერი და თეთრი ზოლებითაა შემკული. გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური (ტაბ. $XI_{63}$). მეორე ჯამის შიშველი კეცი მოხატულია სოსნისფერი და ანგობის თეთრი ზოლებით. გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური (ტაბ. $XI_{64}$). IX ს-ით დათარიღებული ანალოგიური ორნამენტის მქონე ჯამები აღმოჩენილია: თბილისში, უჯარმაში, რუსთავში, დმანისში,[1] უფლისციხეში[2] და სხვ.

სამარილეებიდან ერთი სოსნისფრად, ორი – ყვითლად და მწვანედაა მოჭიქული (ტაბ. $X_{65-66}$). სამარილეების თარიღი სხვა თანმხლები მოჭიქული კერამიკის მიხედვით IX ს-ით განისაზღვრება.

მინის ჭურჭელი წარმოდგენილია ყალიბში ჩამოსხმული ფიალისებრი სასმისების ნატეხებით. ჭურჭლის ტანის ქვედა ნაწილი ნახევარსფერულია, ძირი – მრგვალფოსოიანი. შემკულია მრგვალი, ოვალური ან ხუთკუთხა ფაცეტებით (ტაბ. $XI_{51-58}$). ფაცეტებიანი მინის ჭურჭლის იმპორტული ნიმუშები ჩვენში უკვე II-III და IV ს-ში გვხვდება – სოხტა, ზღუდერი, ჭერემი.[3] ადრეული შუა საუკუნეების მინის ნაწარმის არსებული კლასიფიკაციის თანახმად, ილმაზლოს ფაცეტებიანი სასმისები ყალიბში ჩამოსხმული ჭურჭლის I ტიპში ერთიანდება.[4] ილმაზლოს ფაცეტებიანი ჭურჭლის ანალოგები გვხვდება: ურბნისში,[5] უფლისციხეში,[6] მცხეთაში, თბილისში, თრელის ნასოფლარზე, რუსთავის ნაციხარსა და ნაქალაქარზე,[7] ბოლნისში,[8] ხოპისის ნამოსახლარზე,[9] ხორნაბუჯის მიდამოებში[10] და სხვ. მსგავსი ჭურჭელი ცნობილია: ჩრდილოეთ კავკასიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ძეგლებიდან, ირანიდან, ბი-

---

[1] მინიშვილი, *მოჭიქული ჭურჭელი*, გვ. 16.

[2] მინდორაშვილი, *უფლისციხე*, ტაბ. $XV_{11}$.

[3] Сланов, *Стеклянные сосуды*, გვ. 3-8; ნემსაძე, *ზღუდრის არქეოლოგიური*, გვ. 47; საგინაშვილი, *გვიანრომაული მინის ფიალა*, გვ. 69; მამაიაშვილი, *ჭერემი*, გვ. 32.

[4] შდრ. ჩხატარაშვილი, *მინის ჭურჭელი*, გვ. 13.

[5] ჭილაშვილი, *ურბნისი*, სურ. 53.

[6] მინდორაშვილი, *უფლისციხე*, გვ. 27, ტაბ. $XVII_{25}$.

[7] ჩხატარაშვილი, *მინის ჭურჭელი*, გვ. 13-14; ჩხატარაშვილი, *მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძართან აღმოჩენილი*, გვ. 83.

[8] ამირანაშვილი, *ადრეფეოდალური ხანის*, ტაბ. XV; ჩხატარაშვილი, *მინის ნაწარმი*, გვ. 125.

[9] თუშიშვილი (და სხვა), *ალგეთის ხეობის არქეოლოგიური*, გვ. 60-64.

[10] სინაურიძე, *ქიზიყის 1938-1939 წწ. არქეოლოგიური*, გვ. 75-76.

ზანტიიდან და სხვ.[1] რუსთავსა და თბილისში აღმოჩენილი ფაცეტებიანი სასმისები სტრატიგრაფიული მონაცემების, თანმხლები მასალისა თუ ანალოგების მიხედვით, ძირითადად VI-VIII სს-ით თარიღდება.[2]

განსხვავებული ტიპისაა მინის სასმისის ძირ-ქუსლი (ტაბ. $XI_{49}$). მსგავსი ფორმის სასმისები არსებული კლასიფიკაციით, თავისუფლად გამობერილი ჭურჭლის V ტიპის მე-2 ქვეტიპში ერთიანდება.[3] ანალოგიური სასმისები აღმოჩენილია: რუსთავში, დმანისში, ტირიტაკში (VIII-IX სს.), ნისაში (IX-X სს.), ჩიმის სამაროვნის 21-ე კატაკომბაში, ბაქოში და სხვ. რუსთავ-დმანურ ნიმუშებს პარალელური მასალების მიხედვით VIII-X სს-ით ათარიღებენ.[4] ილმაზლოს სასმისის თარიღიც ამავე პერიოდით შეიძლება განისაზღვროს.

სამაჯურებიდან ერთი ლურჯი მინისაა, სადა, მრგვალგანივკვეთიანი (ტაბ. $XI_{48}$). მეორე შავია, წმინდად გრეხილი (ტაბ. $XI_{47}$). მრგვალგანივკვეთიანი სადა სამაჯურები ფართოდაა გავრცელებული მინის სამაჯურების არსებობის მთელ მანძილზე IX ს-დან XIV ს-ის ჩათვლით.[5] ამგვარი სამაჯურები აღმოჩენილია VIII-IX სს-ით დათარიღებულ ორბეთის მინის საწარმოში,[6] თბილისში, შენაქოში.[7]

წმინდად გრეხილი სამაჯურებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებოდა. ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ორბეთის მინის სახელოსნოში.[8] მინის სამაჯურების დამზადების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად IX ს-ეს მიიჩნევენ.[9] მ. ჩხატარაშვილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ რუსთავში მინის სამაჯურები VI თუ არა VII ს-დან მაინც ჩნდება და ამ მოვლენას ქალაქის თავისებურებად მიიჩნევდა.[10] თუმცა, ის გარემოება, რომ სხვაგან, მათ შორის ურბნისში, რომლის განადგურების თარიღად VIII ს-ის 30-იანი წლებია მიჩნეული და განსაკუთრებით სამთავროს გვიანდელ (VII-VIII სს-ის) სამარხებში მინის სამაჯურების არარსებობა, ჯერჯერობით მაინც ანგარიშგასაწევი ფაქტია.[11]

ილმაზლოს მინის სამაჯურები უფრო IX ს-ის არტეფაქტებია. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ისინი გამოვლენილია ნასახლარის ზედა – I დონეზე IX ს-ის მოჭიქულ ჯამებთან ერთად.

---

[1] ჩხატარაშვილი, *მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძართან აღმოჩენილი*, გვ. 84-85. ლიტ. იხ. იქვე.

[2] ჩხატარაშვილი, *მინის ჭურჭელი*, გვ.14-15.

[3] შდრ. ჩხატარაშვილი, *მინის ჭურჭელი*, გვ. 21-23.

[4] ჩხატარაშვილი, *მინის ჭურჭელი*, გვ. 23.

[5] დოლაბერიძე, *საქართველოს მინის სამაჯურები*, გვ.105.

[6] უგრელიძე, *მინა*, გვ. 10.

[7] დოლაბერიძე, *საქართველოს მინის სამაჯურები*, გვ.105.

[8] უგრელიძე, *მინა*, გვ.10; დოლაბერიძე, *საქართველოს მინის სამაჯურები*, გვ. 110-111.

[9] დოლაბერიძე, *საქართველოს მინის სამაჯურები*, გვ. 101.

[10] ჩხატარაშვილი, *მინის ათი ბეჭედი*, გვ. 61.

[11] დოლაბერიძე, *საქართველოს მინის სამაჯურები*, გვ. 100.

ყურადღებას იქცევს თაბაშირის ორნამენტი, რომელიც შროშანის ყვავილების სტილიზებული გამოსახულებაა (2 ერთეული) (ტაბ. $XI_{45}$). ორნამენტი რაღაც გამოსახულების მოჩარჩოება უნდა იყოს. შროშანი, როგორც ყვავილი-ინსიგნია, გარკვეული პატივის ნიშანი, ფართოდ იყო გავრცელებული ირანულ კულტურაში. ჩვენში ეს სიმბოლო ირანიდან ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში ვრცელდება.[1] შროშანის ორნამენტულ-სიმბოლური მოტივი ადგილობრივ ტრადიციებთან ასიმილირდა. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქრისტიანულ ხელოვნებაში. შროშანი გამოისახებოდა: ჯვრებზე, სტელებზე, კაპიტელებზე. სხვადასხვა რელიეფებზე წარმოდგენილი საზოგადოების მაღალი წრის წევრებს ხშირად ხელში შროშანის ყვავილი უკავიათ, რაც მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას უსვამს ხაზს.[2] შროშანის გამოსახულებით შემკული ჯვრები, სტელები, კაპიტელები, რელიეფები, ხშირად გვხვდება ქვემო ქართლის ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე: დამბლუტისწყლის ხეობის პატარა ეკლესია, კიზილ-ქილისა, ბალიჭი, ბუჩურაშენი (V-VI სს.), ბოლნისი (VI ს.),[3] ბაღჩალარი (VI-VII სს.),[4] ნაგზაურის სამონასტრო კომპლექსი (VI ს.),[5] დმანისი (VI ს.)[6] და სხვ.

განათხარ მასალაში საინტერესოა მარმარილოს ჯამი (ტაბ. $XI_{44}$). მარმარილოს ჯამი აღმოჩენილია ჭაბუკაურის (ნეკრესის) ბაზილიკაში. ნივთი IV-V სს-ით თარიღდება.[7] ჭაბუკაურის ჯამი ფორმით განსხვავდება ილმაზლოს ჯამისგან. უკანასკნელი ძეგლის დარღვეული კულტურული ფენიდან მომდინარეობს. იგი სავარაუდოდ V-VI სს-ის არტეფაქტია.

ხელსაფქვავები ბაზალტისაა (ტაბ. $XI_{42-43}$). ისინი ზოგადად VI-VIII სს-ით თარიღდება. ბაზალტისგანაა დამზადებული ქვევრის სარქველები. არტეფაქტებზე არსებული ნახვრეტი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ქვევრებს ყურძნის ტკბილის დუღილისას ეფარათ. ჭურჭლის სახურავებადაა გამოყენებული სხვადასხვა დიამეტრის მქონე რიყის მრგვალ-ბრტყელი ქვები. N14 ორმოში ამგვარი სახურავის 20-მდე ნიმუში აღმოჩნდა. ქვის ნივთებში მრავლადაა სალესავები და სანაყები.

ძვლის ნივთებიდან გვხვდება წვერწათლილი ირმის რქები (N995, 999). მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლისგანაა დამზადებული იარაღის ტარი, სამანჭვლე ნახვრეტით (N982).

[1] Мачабели, *Позднеантичная торевтика*, გვ. 112-114. ლიტ. იხ. იქვე.

[2] ჯაფარიძე, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 93; კახიანი (და სხვა), *ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი*, გვ. 68.

[3] ამირანაშვილი, *ადრეფეოდალური ხანის*, სურ. 6, 8, 20, 21; ჩუბინაშვილი, *ქვემო ქართლის*, ტაბ. 4,5.

[4] ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის*, ტაბ. $VI_{3}$, $XVI_{1-2}$.

[5] კახიანი (და სხვა), *ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი*, გვ. 35-36.

[6] ჯაფარიძე, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 76-77, 81, 83-84, 92-94, ტაბ. $XVI_{2-3}$, $XVII_{1-2}$, $XVIII_{1}$, $XXIII_{1}$, $XXXIV_{1}$, $XLVIII_{1-2}$, $LXVI_{2}$, $LXXIV_{1}$, $LXXV_{1}$.

[7] ბახტაძე (და სხვა), *ნაქალაქარ ნეკრესის*, გვ. 69, ტაბ. $III_{4}$.

N5 ორმოში გამოვლინდა ბრინჯაოს საკინძი, შემკული მინის მილაკისებრი მძივით (ტაბ. $XI_{50}$). ანალოგიური საკინძები ცნობილია: სამთავროდან (VI ს-ის I ნახ.),[1] ქვემო ალევიდან (VI ს.),[2] მატანიდან (VI ს.),[3] რუსთავიდან (VI-VII სს.),[4] ვაშლაჯვარადან (VI-VII სს.).[5] პარალელური მასალების მიხედვით, საკინძი VI ს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

N5 ორმოშია აღმოჩენილი სარდიონის ბეჭედიც. ბეჭდის რკალი ერთ ადგილას წაკვეთილია და ქმნის ბრტყელ ფარაკს (ტაბ. $XI_{46}$). ანალოგიური ფორმის ინტალიო და სადა ბეჭდები ცნობილია: სამთავროდან,[6] არმაზისხევიდან,[7] ქვემო ალევის VI ს-ის სამარხიდან,[8] ედისიდან (ჯავის მუნიციპალიტეტი).[9] ფორმის მიხედვით, მათ IV-V სს-ს მიაკუთვნებენ.[10] თუმცა, ამგვარი ბეჭდები ძირითადად V-VII სს-ის, ზოგჯერ კი VII-VIII ს-ის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებშიც გვხვდება.[11] ანალოგიური ბეჭედი გამოვლენილია ივრის ხეობაში, ჯიჯეთის VI-VII სს-ის სამაროვანზე.[12] ილმაზლოს ბეჭედი ყველაზე მეტად ემსგავსება რუსთავის VI-VIII სს-ის სამაროვნებზე მიკვლეულ აქატისა და სარდიონის ბეჭდებს.[13] სავარაუდოდ, ბეჭდის თარიღი VI-VII სს-ით უნდა განისაზღვროს.

როგორც ვნახეთ, ადრეული შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში გამოვლენილი მასალა ძირითადად V-VIII სს-ით თარიღდება. IX ს-ეს განეკუთვნება ზედა I დონიდან მომდინარე მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. გათხრებისას არ გამოვლენილა X და შემდგომი საუკუნეების მასალა, რაც გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ნასახლარი IX ს-ის შემდგომ აღარ ფუნქციონირებდა.

განათხარი მასალა მნიშვნელოვანი წყაროა ადრეული შუა საუკუნეების ქვემო ქართლის ამ კუთხის სამეურნეო სახის წარმოსადგენად. ირკვევა, რომ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო მარცვლეული კულტურების მოყვანა, რაზედაც მიუთითებს ნაგებობებში გამართული ორმოები. მათ უმეტესობას მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. მარცვლეული კულტურების წარმოება-მოხმარების სათანადო

[1] აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, ტაბ. $XV_{17}$.
[2] აფხაზავა, *ქვემო ალევი*, ტაბ. $XXXII_{76}$.
[3] Рамишвили, *Исследование*, სურ. $6_{1-2}$.
[4] Иващенко, *Руставский могильник*, გვ. 71-86, ტაბ. $XXVIII_{4}$.
[5] ნიკოლაიშვილი, *ვაშლაჯვარის სამაროვანი*, ტაბ. $XVI_{33,51}$.
[6] რამიშვილი, *სასანური გემები*, გვ. 41, ტაბ. $XIII_{17,50,83}$, $XV_{9}$.
[7] აფაქიძე (და სხვა), *არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები*, ტაბ. $XV_{15}$.
[8] აფხაზავა, *ქვემო ალევი*, გვ. 29, 110, ტაბ. $XVIII_{38}$, $XXXV_{20}$.
[9] Дзаттиаты, *Раннесредневековый могильник*, ნახ. 210.
[10] რამიშვილი, *სასანური გემები*, გვ. 41.
[11] რამიშვილი, *სასანური გემები*, გვ. 100, 126-127; აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, ტაბ. $XXXV_{34}$, $XXXVIII_{56}$, $XLIII_{4}$.
[12] ჯორბენაძე, *ერწო-თიანეთი*, გვ. 77, ტაბ. XVIII, 332.
[13] პაჭიკაშვილი, *ძველი რუსთავი*, გვ. 90, 97-98.

დონეზე მიუთითებს ქვის ხელსაფქვავები, საზეგველები თუ სასრეს-სანაყე-ბი, თიხის კეცები.

გათხებისას აღებული პალეოეთნობოტანიკური და პალინოლოგიური ნიმუშების კვლევამ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა (ნ. რუსიშვილი, მ. ჭიჭინაძე). ნიადაგის ნიმუშებში კულტურული მცენარეებიდან გამოვლენილია ხორბლის ორი სახეობა, კილიანმარცვლიანი ქერი, ფეტვი, ვაზი, სელი, ბარდა, ოსპი, უგრეხელი, ცერცვი და ატამი.

იდენტიფიცირებულია ხორბლის ორი სახეობა: შიშველმარცვლიანი ხორბალი (*Triticum aestivum-durum)* და კულტურული ორმარცვალა (*Triticum dicoccum Schrank ex. Schubl)*. რბილი ხორბალი (*Triticum aestivum L.*) მიეკუთვნება ჰექსაპლოიდურ შიშველმარცვლიან (2n=42) სახეობას. კულტურული ორმარცვალა მხოლოდ ერთ ნიმუშში გამოვლინდა. მასალის სიმცირის გამო, ძნელია მსჯელობა რბილი ხორბლის და ორმარცვალას დამოუკიდებელი ნათესების შესახებ. შესაძლოა ნამოსახლარის აგრიკულტურაში არსებობდა როგორც რბილი ხორბლის ასევე ორმარცვალას დამოუკიდებელი ნათესები. რბილ ხორბალს უფრო მაღალი ცხობითი ღირებულება აქვს, ხოლო ორმარცვალა უკეთესია საკორკოტედ. პალინოლოგიურმა კვლევებმა ნიადაგის სინჯებში ხორბლის როგორც ცალკეული, ისე გუნდებად შეკრული მტვრის მარცვლები გამოავლინა.

კილიანმარცვლიანი ქერი (*Hordeum vulgare L.*) ნაპოვნია სამ ნიმუშში. N8 ორმოში ქერის მტვრის მარცვლებიც აღმოჩნდა. ქერის ფქვილს არ გააჩნია მაღალი ცხობითი ღირებულება. მისგან გამომცხვარი პური მტვრევადია და არ ახასიათებს ფორიანობა. პურის გამოსაცხობად ადამიანი უფრო ქერის და ხორბლის ნარევს იყენებდა. კილიანმარცვლიანი ქერი ფართოდ გამოიყენება, როგორც ლუდის წარმოებაში, ასევე ცხოველების გამოსაკვებად. ქერს განსაკუთრებული ადგილი უკავია ცხენების და ხარების საკვებ რაციონში.

ილმაზლოს ნამოსახლარზე კულტურული ფეტვი (*Panicum miliaceum L.*) შედარებით მეტი სიხშირით და ასევე შედარებით მეტი რაოდენობით გვხვდება. პარკოსანი მცენარეებიდან იდენტიფიცირებულია ბარდა (*Pisum sativum L.*), ოსპი (*Lens culinaris Medik*), ცერცვი (*Vicia faba L.*) და უგრეხელი (*Vicia erilia Willd)*. მათ დიდი ადგილი ეკავათ ძველი სამყაროს მოსახლეობის საკვებ რაციონში. ამჟამად ისინი ჩანაცვლებულია ლობიოს ამერიკული ფორმებით. პარკოსანი მცენარეების ნარევი ნაპოვნია კულტურული ფენის II დონეზე გამოვლენილ ქოთანში. პარკოსნები წარმოადგენენ მცენარეული ცილის მნიშვნელოვან წყაროს. აღმოჩენილ პარკოსნების ნარევში დომინირებს ბარდის თესლი, ხოლო ცერცვი, ოსპი და უგრეხელი შენარევის სახით გვხვდება.

საინტერესოა აღნიშნულ ნარევში სელის თესლის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაფიქსირება. კულტურული სელი (*Linum usitatissimum* L.) ასევე ნაპოვნია N7 ორმოს ფსკერიდან აღებულ ნიმუშში. სელის, როგორც

საზეთე, ისე საბოჭკოვე ფორმებს საქართველოს აგრიკულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ნამოსახლარზე აღმოჩენილი სელი კულტურულ სახეობას მიეკუთვნება და შესაძლოა ამ კულტურის ნათესები ნამოსახლარის აგრიკულტურაში არსებობდა. პარკოსან მცენარეებთან ერთად სელის თესლის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაფიქსირება ასევე შესაძლებელია უკავშირდებოდეს კერძის მომზადების გარკვეულ წესს, სადაც გამოყენებული იყო სელის საზეთე ფორმა.

პალინოლოგიური კვლევებით ნიადაგის სინჯებში ქსოვილის ბოჭკოებიდან სელი და ბამბაა დაფიქსირებული. სელის მტვრის მარცვლებია მიკვლეული ქვევრშიც. სელის ბოჭკოებისა და ერთეული კანაფის ბოჭკოს ნაშთები აღმოჩნდა ალიზის აგურებში. საკვლევ ნიმუშებში სელის, ბამბისა და კანაფის ბოჭკოების აღმოჩენით ირკვევა, რომ ილმაზლოს მოსახლეობა სელისა და კანაფის ქსოვილს ფართოდ მოიხმარდა.

ამრიგად, არქეობოტანიკური მასალის მიხედვით, ადრეული შუა საუკუნეების ქვემო ქართლის მოსახლეობის საკვებ რაციონში არსებობდა მარცვლოვნების რამდენიმე სახეობა – ხორბალი, ქერი, ფეტვი. აგრეთვე პარკოსანი მცენარეები – ბარდა, ცერცვი, ოსპი, უგრეხელი. შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ მათი ადგილობრივი წარმოებაც. გარდა პარკოსნებისა, მოსახლეობას მოჰყავდა ბამბა.

მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი დარგია მევენახეობა-მეღვინეობა. გათხრებისას მიკვლეული ქვევრები იმაზე მეტყველებს, რომ ქვემო ქართლის ამ ნაწილში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა სადღეისოდ დავიწყებულია, ადრეული შუა საუკუნეებისთვის სრულიად განსხვავებული ვითარება იყო.

ქვემო ქართლის ამ რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია პალეობოტანიკური კვლევებიც. კულტურული ფენის IV დონის ნაგებობის იატაკზე ვაზის შვიდი წიპწა გამოვლინდა. მასალა არ იძლევა საშუალებას უფრო სიღრმისეული კვლევისათვის. მხოლოდ ის შეიძლება აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, წიპწები მიეკუთვნება ვაზის კულტურულ სახეობას – *Vitis vinifera L.*

პალეობოტანიკურ კვლევებთან ერთად ამ რეგიონში ვაზის კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს პალინოლოგიური ძიებანი, რომლის შედეგად ორმოებიდან და ქვევრიდან აღებულ სინჯებში ვაზის მტვერი გამოვლინდა.

ატმის (*Prunus persica L.*) კურკის აღმოჩენა N14 ორმოში იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა მებაღეობითაც იყო დაკავებული. ატმის კურკა გამოვლენილია ძალისას გვიანანტიკური ხანის ძეგლზე. XII-XIII სს-ით თარიღდება ჯოხთანისხევის (გლდანის) ნასოფლარი, სადაც ასევე ატმის კურკაა აღმოჩენილი.[1] გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ჩვენში ატმის კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს. ხოლო V-VI სს-ის ქვემო ქართლში, მებაღე-

[1] მურვანიძე, მინდორაშვილი, *ჯოხთანისხევის ნასოფლარი*, გვ. 39-61.

ობის ამ დარგის არსებობა უკვე ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდება. საინტერესოა, რომ ნიადაგის ერთ-ერთ სინჯში კაკლის მტვერიც დადასტურდა.

როცა ქვემო ქართლის ამ კუთხის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაც, რომელიც გარკვეულწილად ავსებს არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალინოლოგიური კვლევის შედეგებს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით – ქვემო ქართლში ხარობდა: ვენახი, ლეღვი, ბროწეული, ხილი, ბრინჯი, ბამბა. კანაფი კი „უმუშაკოდ“ მოდიოდა.[1]

გათხრებისას აღმოჩენილი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მრავალრიცხოვანი ძვლები, თიხის სადღვებლები, ბადიები (სარძევე ჭურჭელი), იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობას საქონლის საკმაო რაოდენობა ჰყოლია და მათი სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი დარგი მესაქონლეობა იყო. საკითხში უფრო მეტი სიცხადე შეიტანა ზოოარქეოლოგიურმა კვლევამ (ნ. ვანიშვილი). ოსტეოლოგიურ კოლექციაში განისაზღვრა 307 ძვალი. ძვლოვანი მასალა ხერხემლიან ცხოველთა ცხრა ტაქსონს ეკუთვნის: ცხვარი ან თხა (*Ovis/Capra)*; ძროხა (*Bos taurus)*; ღორი (*Sus scrofa)*; ცხენი (*Equus caballus)*; კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus)*; კურდღელი (*Lepus europaeus)*; თახვი (*Castor fiber)*; გაზელა (*Gazella subgutturosa)* და მტკნარი წყლის კუ (*Emys orbicularis)*. მასალის ძირითადი ნაწილი – 95,44% შინაურ ცხოველებს ეკუთვნის, გარეული ცხოველები ძვლოვანი ნაშთების 4,56%-ით არის წარმოდგენილი.

